სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/30

ქ. თბილისი

14 ივნისი 2024

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესისა და შემოწმების მომსახურების საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 აპრილის №01-05-04/46 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი (დანართი 1);
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მომსახურების საფასურის ოდენობები (დანართი 2);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**

ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მომსახურების საფასურის ოდენობები

1. ნაშრომების: დისერტაციის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, სტატიის, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე პირველადი სავალდებულო შემოწმება უფასოა.
2. ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე პირველად სავალდებულო შემოწმებამდე წინასწარი შემოწმება ან/და სავალდებულო შემოწმების შემდგომ უარყოფითი შედეგის შემთხვევაში განმეორებითი შემოწმება ფასიანია და განისაზღვრება ნაშრომის გვერდების რაოდენობის მიხედვით.
3. დისერტაციის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი ან/და განმეორებითი შემოწმების ღირებულებაა 50 თეთრი/გვერდზე.
4. სამეცნიერო სტატიისა და მცირე მოცულობის ნაშრომების (არა უმეტეს 4 (ოთხი) გვერდისა), წინასწარი ან/და განმეორებითი შემოწმების ღირებულებაა 5 (ხუთი) ლარი/გვერდზე.
5. ყველა სახის ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმება შესაძლებელია არა უმეტეს 3-ჯერ, პირველადი სავალდებულო შემოწმების ჩათვლით.
6. გარეშე პირის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების საფასური განისაზღვრება მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი ოდენობების შესაბამისად.

პროექტი

დებულება
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის თაობაზე

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ადგენს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია, დისერტაცია, სამაგისტრო ნაშრომი, საბაკალავრო ნაშრომი) პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესს.
2. დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) პლაგიატის არსებობის გამოსავლენი კომპიუტერული ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com”-ის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) გამოყენების პროცედურებს, ნორმებს და აღნიშნულ საქმიანობაში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პლაგიატი – მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეების და გამოგონებების მითვისება, თავის ნაშრომში სხვისი ნაშრომის გამოყენება ავტორის დაუსახელებლად და როდესაც ხდება ინტელექტუალური შრომის შედეგების არამართლზომიერი მითვისება;

ბ) მსგავსების კოეფიციენტი – ნაშრომის ტექსტის სხვა ლიტერატურული წყაროების ტექსტებთან მსგავსების/იდენტურობის მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს, თუ ნაშრომის რა ნაწილია (პროცენტებში) სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ ტექსტებთან მსგავსი/იდენტური;

გ) მსგავსების კოეფიციენტი (SC) 1 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 5-სიტყვიან ფრაზებს;

დ) მსგავსების კოეფიციენტი (SC) 2 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 25-სიტყვიან მონაკვეთებს;

ე) მსგავსების კოეფიციენტი (QC) 3 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ ფრაზებს ციტატების სახით;

ვ) მსგავსების ანგარიში - ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com”-ის პროგრამის საშუალებით მომზადებული სტატისტიკური ანგარიში, ნაშრომის ტექსტის სხვა ლიტერატურული წყაროების ტექსტებთან მსგავსების შესახებ;

ზ) შემოწმების შედეგი - ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com”-ის პროგრამის საშუალებით მიღებული ნაშრომის შემოწმების შედეგი;

თ) ავტორი - უნივერსიტეტის პერსონალი/სტუდენტი, აგრეთვე გარეშე პირი, რომელსაც სურს ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმება;

ი) უფლებამოსილი პირი - პირი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით გასცემს რეკომენდაციას ნაშრომის პუბლიკაციის შესახებ;

კ) პროგრამის ადმინისტრატორი – პირი, რომელიც ადმინისტრირებას უწევს პროგრამა Strikeplagiarism.com-ის გამართულ ფუნქციონირებას სტუ-ში;

ლ) პროგრამის ოპერატორი – პირი, რომელიც ახორციელებს პროგრამა Strikeplagiarism.com-ის საშუალებით ნაშრომის შემოწმებას;

მ) გარეშე პირი – პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის პერსონალი ან სტუდენტი, აგრეთვე რომლის ნაშრომის არცერთი თანაავტორი არ არის უნივერსიტეტის პერსონალი ან სტუდენტი.

მუხლი 3. ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com“-ის გამოყენება

1. უნივერსიტეტში დასაცავად მომზადებულ დისერტაციებში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომებში, უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემულ სამეცნიერო ჟურნალებში და კრებულებში (მათ შორის, კონფერენციების მოხსენებათა/თეზისების კრებულებში) გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სამეცნიერო სტატიებში, უნივერსიტეტის ეგიდით გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომებში (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია) პლაგიატის არსებობის გამოვლენის მიზნით გამოიყენება ვებ პლატფორმა “Strikeplagiarism.com”-ის პროგრამა.
2. პროგრამა არის კომპანია Strikeplagiarism.com-ის ინტელექტუალური საკუთრება და მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით. მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე მისი გავრცელება აკრძალულია.
3. პროგრამა ახორციელებს ნაშრომის შედარებას ინტერნეტ რესურსებში განთავსებულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებში არსებულ ლიტერატურულ წყაროებთან და გამოავლენს მსგავსი ფრაზების არსებობას.

4. პროგრამა ანალოგიური დანიშნულების სხვა პროგრამებთან შედარებით ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით:

ა) გამოყენების სიმარტივით;

ბ) სისტემის დაცულობით;

გ) შემოწმების მაღალი სიზუსტით;

დ) პროგრამის მენიუ მორგებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებს;

ე) შესაძლებლობელია Microsoft Word, PDF (არა დასკანირებული) ფორმატებში შესრულებული ნაშრომების შემოწმება.

5. ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომის მიმართ აუცილებელი მოთხოვნაა "Sylfaen" შრიფტის გამოყენება.

მუხლი 4. პროგრამის ადმინისტრირება

1. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის მეცნიერების და ინოვაციების დეპარტამენტი.
2. პროგრამის ადმინისტრირების მიზნით მეცნიერების და ინოვაციების დეპარტამენტში გამოიყოფა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი - პროგრამის ადმინისტრატორი.
3. პროგრამის ადმინისტრატორის ფუნქციებია:

ა) პროგრამის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო მასშტაბით;

ბ) პროგრამული ხარვეზის წარმოქმნის შემთხვევაში ვებ პლატფორმა "Strikeplagiarism.com"-ის სათავო ოფისთან დაკავშირება და ხარვეზის აღმოფხვრა;

გ) მსგავსების ანგარიშებისა და შემოწმების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და წლიური ანგარიშის წარდგენა მეცნიერების და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსთან.

4. პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების და/ან ცვლილებების შემთხვევაში პროგრამის ადმინისტრატორი უფლებამოსილია, უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წინაშე დააყენოს საკითხი წინამდებარე დებულებაში კორექტივების შეტანის შესახებ.
5. ნაშრომების პროგრამის საშუალებით შემოწმების პროცედურების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის თითოეულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში (ფაკულტეტი/სკოლა) გამოიყოფა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ოპერატორი, პროგრამის ადმინისტრატორთან შეთანხმებით.
6. პროგრამის ოპერატორის ფუნქციებია:

ა) უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ნაშრომების მიღება;

ბ) ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების იდენტურობის შემოწმება;

გ) ნაშრომის ატვირთვა (შეყვანა) პროგრამაში და შემოწმების შედეგისა და მსგავსების ანგარიშის ამობეჭდვა;

დ) პროგრამაში ნაშრომის არასწორად ატვირთვის შემთხვევაში პროგრამის ადმინისტრატორის დაუყოვნებლივი ინფორმირება;

ე) ამ დებულების დანართი 1-ით განსაზღვრული სამსახურებრივი ბარათით ყოველთვიური და ჯამური სტატისტიკური ანგარიშის წარდგენა პროგრამის ადმინისტრატორთან.

7. პროგრამის ოპერატორების საქმიანობის კონტროლის მიზნით ნაშრომების შერჩევითი შემოწმება წარმოებს პროგრამის ადმინისტრატორის მიერ. ადმინისტრატორი აღმოჩენილი დარღვევების შესახებ აცნობებს მეცნიერების და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსს.
8. გარეშე პირის ნაშრომის შემოწმება ხორციელდება ავტორ(ებ)ის განცხადების საფუძველზე სტუ-ის კანცლერის სახელზე, რომელიც არსებული წესის მიხედვით ადგენს შემოწმების პროცედურისთვის განსაზღვრული ფულადი შენატანის ოდენობას.

მუხლი 5. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა

1. ავტორ(ებ)მა, გარდა გარეშე პირისა, ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მიზნით, სავალდებულოა შეავსოს ამ დებულების დანართი 2-ით განსაზღვრული განაცხადი და შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის აკადემიურ დეპარტამენტში (შემდგომში – აკადემიური დეპარტამენტი)/ფაკულტეტის/სკოლის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიაში (შემდგომში – დარგობრივი კომისია)/სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგიაში (შემდგომში – რედკოლეგია), უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოში (შემდგომში - სამეცნიერო საბჭო) წარადგინოს შესამოწმებელი ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები იდენტურია, აქვე მითითებული უნდა იყოს გვერდებისა და სიმბოლოების რაოდენობა.
2. უფლებამოსილი პირი ამ დებულების დანართი 3-ით განსაზღვრული სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ფაკულტეტის/სკოლის მიერ გამოყოფილ ოპერატორს, რომელსაც გადაეცემა: ავტორის განცხადება, ნაშრომის ნაბეჭდი დედანი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

3. ოპერატორი წინასწარ (ნაშრომის პროგრამაში ატვირთვამდე) ამოწმებს რამდენად აკმაყოფილებს ნაშრომის ელექტრონული ვერსია პროგრამის საშუალებით ტექსტის შემოწმებისთვის არსებულ მოთხოვნებს.
4. ნაშრომის ელექტრონული ვერსიის პროგრამის მოთხოვნებთან შეუსაბამობისას ავტორს ეძლევა უფლება, 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში წარადგინოს კორექტირებული ელექტრონული ვერსია, რომელიც შემდგომ აიტვირთება „Strikeplagiarism.com“ პროგრამაში.
5. ოპერატორი არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ამზადებს შემოწმების შედეგს და ამ დებულების დანართი 4-ით განაზღვრულ მსგავსების ანგარიშს.
6. ავტორ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ მონოგრაფიაში და სამეცნიერო სტატიაში შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობებია:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **40%**-ს;
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს **5%**-ს;
   გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს **20%**-ს.
7. ავტორ(ებ)ის მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელოში, დამხმარე სახელმძღვანელოში შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობებია:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **60%**-ს;
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს **10%**-ს;
   გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს **25%**-ს.
8. ავტორ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი შევსებული და გადამუშავებული სახელმძღვანელოს შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობებია:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **60%**-ს;
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს **10%**-ს;
   გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს **25%**-ს.
9. ავტორის მიერ წარმოდგენილ დისერტაციაში შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობებია:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **25%**-ს;
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს **5%**-ს;
   გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს **25%**-ს.
10. ავტორის მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობებია:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **60%**-ს;
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს 10**%**-ს;

გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს **30%**-ს.

11. ავტორის მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომში შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობებია:
    ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **65%**-ს;
    ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს **15%**-ს;
    საბაკალავრო ნაშრომის (SC)1 და (SC)2 კოეფიციენტებით შემოწმების შედეგად მიღებული მსგავსების კოეფიციენტის დასაშვებ ნორმას, დარგისა და ნაშრომის სპეციფიკის, მათ შორის ნაშრომის მიზნის, დასმული ამოცანისა და მისი გადაწყვეტის გზების გათვალისწინებით, წყვეტს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისია. საბაკალავრო ნაშრომი არ მოწმდება (QC)3 მსგავსების კოეფიციენტით.
12. ოპერატორი განცხადების დასკანირებულ ვერსიას, ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას და შემოწმების შედეგს უგზავნის პროგრამის ადმინისტრატორს.
13. შემოწმების შედეგი და მსგავსების სრული ანგარიში (ამონაბეჭდი) გადაეცემა როგორც ნაშრომის ავტორ(ებ)ს ასევე უფლებამოსილ პირს, მოთხოვნის შესაბამისად.
14. შემოწმების შედეგის მიღების შემდეგ უფლებამოსილი პირი ამზადებს ამ დებულების დანართი 5-ით განსაზღვრულ დასკვნას.
15. მსგავსების კოეფიციენტის დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობების გადაჭარბების შემთხვევაში ნაშრომი განხილვაზე აღარ დაიშვება და დაუბრუნდება ავტორ(ებ)ს.
16. აკადემიური დეპარტამენტი /დარგობრივი კომისია /რედკოლეგია/სამეცნიერო საბჭო პასუხისმგებელნი არიან ნაშრომის შემოწმების შედეგად პლაგიატის აღმოჩენის ან მსგავსების კოეფიციენტების ნორმის დარღვევის შემთხვევაში ნაშრომის საბჭოზე გატანის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

მუხლი 6. პროგრამით მომსახურების პირობები

1. ნაშრომების: დისერტაციის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, სტატიის, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმება სავალდებულოა.
2. აკადემიურ დეპარტამენტში /დარგობრივ კომისიაში /რედკოლეგიაში /სამეცნიერო საბჭოში დადგენილი წესით ჩაბარებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე პირველადი სავალდებულო შემოწმება უფასოა.
3. ნაშრომების: დისერტაციის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, სტატიის, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი შემოწმების (მათ შორის განმეორებითი შემოწმების) ფასი განისაზღვრება ნაშრომის

გვერდების რაოდენობის მიხედვით, სტუ-ის მიერ ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მომსახურებისთვის დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

მუხლი 7. აპელაცია

1. უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებაზე უთანხმოების შემთხვევაში, ავტორს და/ან მის სამეცნიერო ხელმძღვანელს მომდევნო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში უფლება ეძლევა შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორს მიმართოს აპელაციით.
2. ფაკულტეტის/სკოლის საბჭო/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორი ქმნის კომისიას, რომელიც 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
3. უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების გასაჩივრება ამ მუხლით დადგენილი წესით ავტორს და/ან მის სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

მუხლი 8. გარეშე პირების მომსახურება

1. ავტორმა, თუ იგი არის გარეშე პირი, ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მიზნით, ამ დებულების დანართი 6-ით განსაზღვრულ განცხადებასთან და ნაშრომის ნაბეჭდ და ელექტრონულ (CD დისკზე) ვერსიებთან ერთად უნდა წარმოადგინოს უნივერსიტეტის მიერ ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მომსახურებისთვის დადგენილი თანხის გადახდის ქვითარი.
2. ნაშრომს ამოწმებს შესაბამისი დარგის ფაკულტეტის ოპერატორი. იგი უზრუნველყოფს ხელმოწერილი შემოწმების შედეგის და მსგავსების ანგარიშის გაცემას 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 9. დებულების დამტკიცების წესი

1. მეცნიერების და ინოვაციების დეპარტამენტი შეიმუშავებს დებულების პროექტს, რომელსაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
2. დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცების დღიდან.

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
“Strikeplagiarism”-ის პროგრამის
ადმინისტრატორს.....
.....
.....ფაკულტეტის/სკოლის (მიუთითეთ ფაკულტეტი/სკოლა)
პროგრამის ოპერატორის ..... (სახელი, გვარი)

ს ა მ ს ა ხ ურ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ჩემს მიერ შემოწმებულ იქნა (მიუთითეთ ავტორი, ნაშრომის ტიპი და დასახელება):
.....
.....
.....
..... პლაგიატის არსებობაზე.
სულ: ..... (მიუთითეთ ყოველთვიური რაოდენობა/ჯამური რაოდენობა)
აქედან -

1. სავალდებულო უფასო.....(მიუთითეთ ყოველთვიური რაოდენობა/ჯამური რაოდენობა)
2. ფასიანი ..... (მიუთითეთ წინასწარი/განმეორებითი ყოველთვიური რაოდენობა/ჯამური რაოდენობა)

....
თარიღი პროგრამის ოპერატორის ხელმოწერა

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
.....
.....
ფაკულტეტის/სკოლის (მიუთითეთ ფაკულტეტი/სკოლა)
.....აკადემიური დეპარტამენტის უფროსს/
სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის /
სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგიის/
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს

ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი,
საგანმანათლებლო პროგრამა/თანამდებობა,
ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი

განცხადება

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, შეამოწმოს ჩემს/ჩვენს მიერ მომზადებული ნაშრომი (მიუთითეთ ნაშრომის ტიპი):
პლაგიატის არსებობაზე.
ვადასტურებ/ვადასტურებთ, რომ:

1. ნაშრომი (დასახელება)
   .....
   .....

.....
მომზადებულია ჩემ/ჩვენ მიერ და იგი არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს;

2. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.
3. გვერდების რაოდენობა -
4. სიმბოლოების რაოდენობა -

....
თარიღი ავტორის/ავტორების ხელმოწერა

დანართი 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
“Strikeplagiarism”-ის პროგრამის
ოპერატორს .....
.....
ფაკულტეტის/სკოლის (მიუთითეთ ფაკულტეტი/სკოლა)
.....აკადემიური დეპარტამენტის უფროსის/
სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის/
სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგიის/
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

გთხოვთ, შეამოწმოთ ავტორ(ებ)ის ..... მიერ მომზადებული ნაშრომი (მიუთითეთ ნაშრომის ტიპი და დასახელება):
.....
.....
.....
..... პლაგიატის არსებობაზე.

დანართი:

- ავტორ(ებ)ის განცხადება;
- ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია;
- ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე).

....

თარიღი ფაკულტეტის/სკოლის აკადემიური დეპარტამენტის
უფროსის/
სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის/
სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგიის/
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის
ხელმოწერა

დანართი 4

მსგავსების ანგარიში

ავტორ(ებ)ი .....

ნაშრომის დასახელება .....

.....

.....

გვერდების რაოდენობა .....

სიმბოლოების რაოდენობა .....

დარგი/სპეციალობა .....

ფაკულტეტის (მიუთითეთ ფაკულტეტი) აკადემიური დეპარტამენტი/
სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია /
სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგია (მიუთითეთ დასახელება)
სამეცნიერო-კვლევითი ერთეული (მიუთითეთ დასახელება)

.....

ნაშრომის ტიპი:

- ☐ სადისერტაციო ნაშრომი;
- ☐ სტატია;
- ☐ მონოგრაფია;
- ☐ სახელმძღვანელო
- ☐ დამხმარე სახელმძღვანელო
- ☐ სამაგისტრო ნაშრომი
- ☐ საბაკალავრო ნაშრომი
- ☐ სხვა

პროგრამა Strikeplagiarism-ის საშუალებით მიღებულმა შემოწმების შედეგმა აჩვენა შემდეგი:

- ☐ მსგავსების კოეფიციენტი (SC1) შეადგენს ..…….. %-ს
- ☐ მსგავსების კოეფიციენტი (SC2) შეადგენს ……..... %-ს
- ☐ მსგავსების კოეფიციენტი (QC3) შეადგენს ……..... %-ს

დანართი:

- ☐ ავტორის განცხადება(ასლი)
- ☐ ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია
- ☐ ნაშრომის ელექტრონული ვერსია CD დისკზე.
- ☐ შემოწმების შედეგი

....

თარიღი ოპერატორის ხელმოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის .....
ფაკულტეტის/სკოლის (მიუთითეთ ფაკულტეტი/სკოლა) აკადემიური დეპარტამენტის უფროსის/
სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის/
სამეცნიერო ჟურნალის/კრებულის რედკოლეგიის/
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის

დასკვნა ნაშრომის შესახებ

ავტორ(ებ)ი:
.....
ნაშრომის დასახელება (მიუთითეთ ნაშრომის ტიპი):
.....
.....
.....
გვერდების რაოდენობა.....
სიმბოლოების რაოდენობა.....
დარგი/სპეციალობა .....
ნაშრომის, მსგავსების ანგარიშის შედეგის განხილვის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა:

- ☐ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს. ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება დასაშვებია. ამრიგად, ნაშრომი მიიღება/დაიშვება დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად.
- ☐ სამეცნიერო ნაშრომი შეიცავს პლაგიატს / ნაშრომში გამოვლენილი მსგავსების კოეფიციენტი აჭარბებს დასაშვებ ნორმას ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე/არ გამოქვეყნდება.

.....
.....
.....

....
თარიღი აკადემიური დეპარტამენტის
უფროსის/
დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის/
რედკოლეგიის/
სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის
ხელმოწერა

დანართი 6

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს) _____

ნაშრომის ავტორ(ებ)ის სახელი, გვარი,
პირადი ნომერი,
ელექტრონული ფოსტის მისამართი,
ტელეფონის ნომერი
სამუშაო ადგილი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო_____,
გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, შეამოწმონ ჩემს/ჩვენს მიერ მომზადებული ნაშრომი (მიუთითეთ ნაშრომის ტიპი) სხვა ლიტერატურული წყაროების ტექსტებთან მსგავსების არსებობაზე.
ნაშრომი .....
.....
(*დასახელება)*
ვადასტურებ/ვადასტურებთ, რომ:

1. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.
2. გვერდების რაოდენობა -
3. სიმბოლოების რაოდენობა -

დანართი: ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია;
ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);

....
თარიღი ავტორ(ებ)ის ხელმოწერა